



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი კაკალაშვილი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მისი
განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, განსაკუთრებით ახლა - გლობალიზაციის განვითარების პერიოდში საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო, როგორც ერთ-ერთი განვითარებადი ქვეყანა მიმართულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდისკენ. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეყანა ქმნის ისეთ ნიადაგს, სადაც კომფორტული იქნება უცხოელი ინვესტორების მიერ კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას საქართველოში, რომელიც განხილულია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების, ინვესტორი ქვეყნებისა და განვითარების ეტაპების მიხედვით.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ზოგადად ინვესტიციების არსი და სახემწიფო საინვესტიციო პოლიტიკა. კერძოდ, კი - ქვეთავებში განხილულია ინვესტიციების სახეები, განვითარება და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

მეორე თავში განხილულია საქართველოს საინვესტიციო გარემო, რას თავაზობს ქვეყანა უცხოელ ინვესტორს, ასევე განხილული და გაანალიზებულია შემომავალი უცხოური ინვესტიციების დინამიკა.

მესამე თავში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზები, ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, შესაძლო რისკები და მათი დაძლევის გზები.

დასკვნაში განზოგადებულია კვლევის საერთო შედეგები.

Dynamics of direct foreign investments and prospects for its development in Georgia

Annotation

Especially now – during the development of globalization, Foreign direct investment (FDI) is very important for Georgia. For developing country like Georgia is towards growth of investments. Because all of that, country creates an environment, where foreign investors will have a long-term interest in capital investments. With increase of FDI, Georgia's economics will develop. Presented master's thesis deals with the dynamics of direct foreign investments in Georgia, which are discussed in different sectors of economy, investor countries and development stages.

In the first chapter of the work the general essence of investment and state investment policy is discussed. In particular, the subjects cover the types of investments, development and their role in the economy of the country.

The second chapter covers the investment environment of Georgia, the country's foreign investor and the dynamics of incoming foreign investments are analyzed.

The third chapter analyzes the ways of attracting foreign investments, problems related to this issue, possible risks and ways of overcoming them.

The conclusion is that the research results are generalized.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. ინვესტიციები და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა	8
1.1 ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა საქართველს საბაზრო ეკონომიკაში	8
1.2 ინვესტიციების სახეები და მათი განვითარება გარდამავალ პერიოდში	14
1.3 საქართველოს კანონი-ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ	24
თავი 2. საინვესტიციო გარემო საქართველოში	29
2.1 საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ეტაპები	29
2.2 საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი	35
2.3 საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციებთან მიმართებაში	40
თავი 3. ინვესტიციების მოზიდვის და გამოყენების ძირითადი მიმართულებები საქართველოში	52
3.1 ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების სრულყოფის მექანიზმები	52
3.2 ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების სრულყოფის სტრატეგიის განხორციელების შესაძლო რისკები და მათი დაძლევის გზები	55
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა	65

შესავალი

თემის აქტუალობა. დღესდღეობით საინვესტიციო საქმიანობის ეს კონკრეტული კატეგორია, რომელსაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეწოდება არის ძალიან აქტუალური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ქვეყნის სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტი. მსოფლიოს ქვეყნების ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნები, ცდილობენ მაქსიმალურად გახსნან საზღვრები, ქვეყანაში შექმნან უცხოელ ინვესტორთათვის ხელსაყრელი და მომგებიანი გარემო.

როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასევე საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ბევრი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. აღნიშნულის ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ახალი მიდგომების დანერგვა, მწარმოებლობის ზრდა, ტექნოლოგიების ჩართულობა და ა.შ.

ემპირიული კვლევების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. მაგალითად შეგვუძლია მოვიყვანოთ ზალცის, სინგირისა და პრებიშის კვლევები, რომლითაც დასტურდება FDI-ის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კვლევის ამგვარი შედეგები განპირობებულია ასეთ ქვეყნებში არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობით.

საქართველოში FDI-ის შემოსვლა ძირითადად დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ დაიწყო. საქართველოს FDI-ის მოზიდვის მხრივ ხასიათდება სპეციფიკური რისკებით, რაც გამომდინარეობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების რთული გეოლოგიური აგებულებით, თუმცა მეორეს მხრივ გარდა აღნიშნულ მრეწველობაში კაპიტალის დაბანდებისა სხვა სფეროებში გაცილებით მიმზიდველი ქვეყანაა უცხოელი ინვესტორებისთვის (მაგ. ტრანსპორტში

დასაბანდებელი კაპიტალი, რაც განპირობებულია საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფილი მდებარეობისგან.

ვინაიდან, საქართველოს მაცხოვრებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია ისეთი რაოდენობის შემოსავალი, რომ გარკვეული თანხა დაზოგოს, შესაბამისად ქვეყანაში საკმარისზე დაბალია დანაზოგის დონე. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალი. ამასთანავე, უცხოური კაპიტალი რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტით შემოდის, ლარის კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს და ინფლაციის რისკებს მეტ-ნაკლებად ამცირებს.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო კვლევის მიზანია უცხოური ინვესტიციების დინამიკისა და მისი განვითარების პერსპექტივების განხილვა საქართველოში. მოცემული მიზნის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომში განხილულია შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში შემოსული FDI-ის შემოსვლის დინამიკის შესწავლა და ანალიზი.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელისშემწყობი და ხელიშეშლელი ფაქტორების - იგივე ინფიბიტორებისა და კოფაქტორების განხილვა.
- FDI-ის კლასიფიკაცია და განვითარების ეტაპების განხილვა.
- ამ ეტაპზე საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოზიდვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს უშუალოდ საქართველოს საბაზრო ეკონომიკა, რასთან მიმართებაშიც განიხილება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა.

კვლევის საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებული თეორიები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები, სტატიები, კვლევები, სტატისტიკები და სტატიები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია დიალექტიკური მეთოდი, რომელიც იკვლევს პროცესებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია: ინდუქციის, დედუქციის ახსნა-განმარტების, ანალიზის, შედარებითი ანალიზის, და სინთეზის მეთოდები.

კვლევის შედეგები. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა:

- რა არის ინვესტიციები და როგორია სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში.
- როგორი საინვესტიციო გარემოა საქართველოში და რა ფაქტორები განაპირობებს მათ.
- საკვლევ ობიექტზე დაკვირვებით გამოვლინდა თუ როგორ უნდა მოიკვლიოს ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რა წინააღმდეგობები შეხვდება.

ნაშრომის სტრუქტურა. წარმოდგენილი სამსაგისტრო ნაშრომი შედგენა კომპიუტერზე ნაბეჭდი 70 გვერდისგან, ის მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნას და გამოყენებული სიტერატურის ნუსხას.

თავი 1. ინვესტიციები და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა

1.1 ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა საქართველოს საბაზრო ეკონომიკაში

ლათინური წარმოშობის სიტყვა ინვესტიცია (investire- შემოსვა) გულისხმობს მოგების მიღების მიზნით გარკვეული დროით კაპიტალდაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ნებისმიერი ინვესტირების მთავარი ძალა ინვესტორია, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირი, ასევე კომპანია, რომელიც წყვეტს რა სახის ინვესტიცია უნდა განახორციელოს და რომელ სფეროში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI – Foreign direct investment) არის საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი კატეგორია. ეს უკანასკნელი ერთი ქვეყნის ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების წარმოებას გულისხმობს.

გლობალიზაციის განვითარების ხანაში საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. არც თუ ისე დიდი ხანია რაც სახელმწიფოებმა გაანალიზეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ეს გამოწვევა გასაკუთრებით მალე აითვისეს განვითარებადმა ქვეყნებმა. ვინაიდან, ზუსტად ასეთ ქვეყნებშია შიდა დანაზოგების მინიმალური დონე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო შიმშილის დაკმაყოფილებას.

განვითარებადი ქვეყნების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ, ისინი ადვილად თანხმდებიან სხვადასხვა ორგანიზაციებიდან დახმარების მიღებას. ამასთანავე ამ დახმარებაში არსებული

ფულად სახსრებს ძირითადად მოჰყვება ხოლმე არამატერიალური პოზიტივები. როგორცაა ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

მაშინ, როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საბანკო სისტემისეთ დონეზე, რომ ეკონომიკის მომარაგება სტაბილურად იაფი სესხებით შეძლოს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან ჭრილში თუმცა, მიუხედავად ამ სავსებით გასაგები დადებითი ფაქტორებისა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას შეუძლია უარყოფითი შედეგების მოტანა. მაგალითად: დიდი ინვესტიციების განვითარების ხარჯზე მცირე და საშუალო ბიზნესის დაზარალება. თუმცა, ამ მხრივ ბაზრის სიცარიელის გამო საქართველოს ეს უკანასკნელი პრობლემა არ ემუქრება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე სპეციალისტები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ:

- ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი (Horizontal spillover effects) ეს არის შემთხვევა, როცა ინვესტორები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს რომელიმე ქვეყანაში ახორციელებენ, ქირაობენ ადგილობრივ პერსონალს და მათ ასწავლიან ახალ ტექნოლოგიებსა და მარკეტინგულ მიდგომებს. ასეთი ეფექტის მიღება საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მაგრამ გასათვალისწინებელია ამ ეფექტის უარყოფითი მხარეც. კონინგის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნათელია, რომ ბულგარეთსა და რუმინეთში მოზიდულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ თავისი ჰორიზონტალური გადადენის ეფექტით ძალიან კარგი შედეგი აჩვენა, თუმცა, პოლონეთში ყველაფერი პირიქით იყო. ადგილობრივი კომპანიებისთვის დახმარების გაწევის მაგივრად წარმოიშვე უმკაცრესი კონკურენცია და დარჩნენ მხოლოდ დიდი კომპანიები.


- ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical spillover effect) - გულისხმობს ინვესტორის კაპიტალდაბანდების საფუძველზე ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების წახალისებას. ჰორიზონტალური გადადენის მსაგვსად ვერტიკალურ გადადენსაცაქვს თავისი უარყოფითი მხარე, რომელსაც კავურჩიკის მიერ ლიტვაში ჩატარებული კვლევა ასახავდა. აღნიშნული კვლევის თანახმად, თუ უცხოური კომპანიები ბაზარზე შევიდნენ ისე, რომ თავად შექმნეს ადგილობრივი კონკურენტუნარიანი საწარმოები - საბოლოოდ ვერტიკალური გადადენის ეფექტი ვეღარ მიიღება. ამასთანავე, მოგებისმილების ნაცვლად, ადგილობრივი ინვესტიციები ზარალდებიან.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციეს საქართველოსთვის ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური გადადენის გზით. ვინაიდან, ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ეკონომიკური რესურსები ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ საინვესტიციო საჭიროებებს - საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ნიშნულებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ცალსახად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომტანი ქვეყანაა.

უკეთ აღსაქმელად წარმოდგენილის ცხრილი 1997 წლიდან 2014 წლამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ (ცხრილი 1.1).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საზღვარგარეთ გადადენის ყველაზე მაღალი მაჩნებლები 2012 წელს დაფიქსირდა და სავარაუდოდ ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკური არასტაბილურობით იყო გამოწვეული. ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში მყოფი ინვესტორების ნაწილმა სახსრების სხვა ქვეყანაში დაბანდება არჩიეს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი და ექსპორტი



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

მას შემდეგ, რაც პირველად დაფიქსირდა საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, სტატისტიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დაბანდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თითქმის ტოლი იყო საქართველოდან გატანილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის.

მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის დინამიკის ამსახველი ცხრილი (ცხრილი 1.2).


საერთო ჯამში 1999 – 2013 წლების განმავლობაში გასულია 1538 მილიარდი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

მსოფლიოს 87 ქვეყანას შორის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის, რასაც მსოფლიო ბანკის მოხსენება „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ ადასტურებს. კვლევის ინდიკატორები მსოფლიოს 87 ქვეყანაში ფოკუსირებულია 4 ძირითად საკითხზე, რომლებიც შეეხება უცხოური კომპანიის მიერს განხორციელებულ საქმიანობას ამა

თუ იმ ქვეყანაში, საქმიანობის წარმოებას, მიწის ფლობასა და დავების გადაწყვეტას ბიზნესთან დაკავშირებით.

ცხრილი 1.2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის დინამიკა



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

მსოფლიო ბანკის მოხსენებამ „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ უცხოური კაპიტალის მიმართ სრულიად ღიაა საქართველო და მის მიმართ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. საქართველოში ბიზნესის დასაწყებად როგორ აღმოჩნდა საკმარისია მხოლოდ 4 დღე, მაშინ როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მინიმალური დრო 8 დღეა. კონკრეტულად თუ ვისაუბრეთ ბიზნესის დაწყების ვადები სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი : თურქეთში -8 დღე, სომხეთში-18 დღე, გულგარეთში-20 დღე, საბერძნეთში-22 დღე, ხოლო რუსეთში -31 დღე. თუმცა არსებობს ქვეყნები სადაც ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო დიდი ვადით გვაქვს წარმოდგენილი და ბიზნესის დაწყების პროცედურა თითქმის 6 თვეს გრძელდება, მაგალითად ანგოლაში ბიზნესის დასაწყებად 263 დღე განიხილება ხოლო ჰაიტიში

212. აღსანიშნავია რომ ბიზნესის დაწყების კუთხით საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყანადაა მიჩნეული, თუ ერთადერთ ქვეყანად არა, გამომდინარე იქიდან რომ სოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება ბიზნესის დაწყების ესეთი მხირეხნიანი პრეცედენტი.

როდესაც ბიზნესის განვითარებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად აღსანიშნავია 2008 წელს მიღებული კანონით, თბილისში მიწის ფლობასთან დაკავშირებული საქმის წარმოების გამარტივება და დაჩქარება. აღარ არსებობს შეზღუდვა მიწის შეძენასთან დაკავშირებით ან იჯარით აღების საკითხთან დაკავშირებით, ასევე არ არსებობს მიწის ფართობთან მიმართებით რაიმე სახის შეზღუდვა. განხორციელებული რეფორმის საფუძველზე საქართველო ეკონომიკური თავისუფლების მხრივ 26-ე ადგილზეა, კანონის გარეშე ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება შეუძლებელია, სწორედ ამიტომ არს რომ საქართველოში საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია იმაზე რომ კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს იგი.

შესაბამისად - ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო სრულებით გახსნილია უცხოური ინვესტორებისთვის და კიდევ უფრო ცდილობს კანონმდებლობისა და სხვა საკითხების ბოლომდე დახვეწას რათა უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტორთათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის კაპიტალის ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაა.

1.2 ინვესტიციების სახეები და მათი განვითარება გარდამავალ პერიოდში

ინვესტირება თავის მხრივ იყოფა რამდენიმე სახეობად. მათ შორის **ინვესტირება იყოფა საინვესტიციო ობიექტების მიხედვით:**

- **რეალური ინვესტიცია** - გულისხმობს რეალურ დაბანდებას რეალურ სექტორში.
- **ფინანსური ინვესტიცია** - გულისხმობს ფასიანი ქაღალდების შეძენას ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტში ინვესტირებას. ეს ფორმა მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიღებას ემსახურება.

საინვესტიციო პროცესში მონაწილე ობიექტების მიხედვით - არსებობს ინვესტირების ერთადერთი სახე:

- **პირდაპირი ინვესტირება** - ეს ნიშნავს იმას, რომ ინვესტორი დამოუკიდებლად ირჩევს ინვესტირების ობიექტს, აფასებს რისკებს და არსებულ ყველა მასზე დაკისრებულ გადაწყვეტილებას.

ინვესტიციების კლასიფიკაცია - **საინვესტიციო პროცესში მონაწილე ობიექტების მიხედვით:**

- **შიდა ინვესტირება** - ეს არის საკუთარი აქტივებით საკუთარ ბიზნესში ინვესტირება.
- **გარე ინვესტირება** - ეს არის მესამე მხრის მიერ ფინანსების თქვენს ბიზნესში ინვესტირება.

ინვესტიციების კლასიფიკაცია - **დროის კრიტერიუმების მიხედვით:**

- **მოკლევადიანი ინვესტიცია** - ხასიათდება ინვესტირების მოკლევადიანი პერიოდით, ჩვეულებრივ, ერთი წლით.
- **გრძელვადიანი ინვესტიცია** - ხასიათდება ინვესტირებით, რომელიც გრძელდება ერთ წელზე მეტი.

ინვესტიციების კლასიფიკაცია - **შემოსავლის დონის მიხედვით:**

- **უმემოსავლო ინვესტიცია** - ინვესტიციის ეს სახე არ გულისხმობს უემოსავლის მიღებას, მისი მიზანია მიიღოს დადებითი სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა ეფექტი.
- **დაბალუმემოსავლიანი ინვესტირება** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო უემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგებაზე ნაკლებია.
- **საშუალო უემოსავლიანი ინვესტირება** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო უემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგების ტოლია.
- **მაღალუმემოსავლიანი ინვესტირება** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო უემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგებაზე გაცილებით მაღალია.

ინვესტიციების კლასიფიკაცია - **რისკის დონის მიხედვით:**

- **ინვესტიციები რისკის გარეშე**- ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებიც არ არსებობს ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი.
- **დაბალ რისკიანი ინვესტიცია** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებიც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი დაბალია.
- **საშუალო რისკიანი ინვესტიცია** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებიც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი საშუალო დონეზეა.
- **მაღალ რისკიანი ინვესტიცია** - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებიც რისკის დონე საშუალოზე ბევრად მაღალია, ესეთი ობიექტები როგორც წესი გამოირჩევიან უემოსავლების მაღალი დონით.

ინვესტიციების კლასიფიკაცია- **ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით:**

- **მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია** - ინვესტირება, რომლის ობიექტიც ერთთვიან პერიოდში გარდაიქმნება ფულად - ყოველგვარი მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე.

- **საშუალო ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია** - ინვესტირება, რომლის ობიექტიც 1 ან 6 თვიან პერიოდში გარდაიქმნება ფულად - საკუთარი ღირებულების მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე.
- **დაბალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია** - ინვესტირება, რომლის ობიექტსაც საკუთარი ღირებულების დანაკარგის გარეშე სარეალიზაციოდ დიდი დრო სჭირდება.
- **არალიკვიდური ინვესტიცია.** ინვესტირების სახე, რომლის რეალიზებასაც ინვესტორი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

ინვესტიციების კლასიფიკაცია - საკუთრების ფორმის მიხედვით:

- **კერძო ინვესტიცია** - ფიზიკური ან იურიდიული (არასახელმწიფოებრივი) პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია.
- **სახელმწიფო ინვესტიცია** -სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ან სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული ინვესტიცია.
- **შერეული ინვესტიცია** - სახელმწიფო და კერძო პირის მიერ ერთობლივად განხორციელებული ინვესტიცია.

ეკონომიკის გლობალიზაციის პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საინვესტიციო რესურსების ყველაზე დინამიკური ნაწილი გახდა. სწორად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის საწინდარი. ამ უკანასკნელს, ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა: შემოსავლების, დასაქმების ზრდით და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამ ყველაფრის მოზიდვის საწინდარი კი, საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებაა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა საინვესტიციო პროცესების განვითარების მთავარი ივესტორი თავად სახელმწიფო გახდეს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების III პერიოდში სახელმწიფოსთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყო ინვესტიციების თანხების გამოყოფა, რასაც რათმქუნდა

იქამდე მივყავართ, რომ სახელმწიფოს ნამდვილად არ გააჩნდა ინვესტორის მიზნები.

უამრავი საკანონმდებლო რეფორმის მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელისშემწყობ რეჟიმს არ მოჰყვა უცხოელი ინვესტორების იმ რაოდენობით დაინტერესება რისი მოლოდინიც იყო ხელისუფლებაში. შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ეს ყველაფერი გამოწვეული იქნა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობიდან. ჩემი აზრით, გარკვეულწილად გამოწვეულ იქნა იქიდან, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულაციები არ იყო გათანაბრებული ადგილობრივი ინვესტიციების რეგულაციებთან. შესაბამისად. თავისთავად მოხდა ადგილობრივი ინვესტორების უფლებების შევიწროვება, უცხოელმა ინვესტორებმა დაუმსახურებელი შეღავათები მიიღეს რამაც შეამცირა ქვეყნის საგადასახადო შემოსავლების ზრდა შეაფერხა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუშალა.

ამ მიზეზებისგამო 1996 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ახალი კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც დაარეგულირებდა ეროვნულ ინვესტიციებს. ამასთანავე, აღნიშნული კანონი განსაზღვრავდა ისეთ სფეროებს სადაც აიკრძალებოდა ან გარკვეულწილად შეიზღუდებოდა ინვესტირება.

2006 წელს საქართველოს მთავრობის საპროგრამო დოკუმენტში - „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007 – 2010 წლებისთვის“, მოცემულია ქვეყნის განვითარების საფინანსო სტრატეგია, რომლებიც უკანასკნელი წლების ეკონომიკურ მაჩვენებლებს ეყრდნობოდა. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულ იყო გასული წლების მშპ-ისა (7.5 %) და ინვესტიციების ზრდა. ასევე მითითებული იყო მომავალ წლებში უცხოური კაპიტალის შემოსვლა გაზრდილი რაოდენობით, ასევე იმპორტის ზრდა რაც თავისთავად დადებითად უნდა ასახულიყო საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

მოგეხსენებათ ასეთი დადებითი პროგნოზების რეალობად ქცევას საკმაოდ დიდი შრომა ჭირდება სახელმწიფოს მხრიდან. საჭირო იყო საინვესტიციო პროგრამების დაწვრილებით დამუშავება, დეტალურად უნდა დაგეგმილიყო ამ ყველაფრისთვის საჭირო ხარჯების რაოდენობა, გახილვა და საბოლოოდაგეგმვა. სწორად ასე იზამდა პერსპექტიული სახელმწიფო. რამდენიმე მნიშვნელოვანი „დეტალი“ წლების მანძილზე ფიგურირებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ყველა პერიოდში. ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს საქართველოს არასამართლიანი საგადასახადო სისტემა, რომელიც თავისთავად თანხვედრაში უნდა მოდიოდეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში შეუძლებელი იყო ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმა, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობდა გადასახადის თავიდან არიდების ფაქტების დაუსჯელობა და საგადასახადო შეღავათები.

უცხოური გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებისთვის, სწორად იმას რასაც გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტირება, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო ცვლილებებს. პირველი დაბრკოლება, რასაც უცხოელი ინვესტორები აწყდებიან არის რომ წინასწარ ვერ განსაზღვრავენ საგადასახადო ცვლილებებს, რაც პირდაპირპროპორციულად კანონმდებლობას უკავშირდება. ყოველივე ეს ინვესტორებში გაურკვევლობას იწვევს.


თოთოეულ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გააქტიურება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მიმდინარე პრივატიზაციის პროცესებზე. აღნიშნული პროცესები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოში პრივატიზაციის პროცესები დაიწყო 90-იანი წლებიდან და დღემდე გრძელდება. პრივატიზების პირველი ეტაპი სრულებით იდენტური იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში განხორციელებულ ე.წ. ვაუჩერიზაციის პროცესის. ვაუჩერიზაციის პროცესი ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ წარუმატებელი იყო - საწარმოთა მფლობელები ან დირექტორები ძირითადი აქციების ღირებულებას ხელოვნურად ამცირებდნენ და

შესაბამისად თითქმის ნულამდე მცირდებოდა ვაუჩერიტ შესაძენი საწარმოების აქციების ფასები. ამ პროცესით საწარმოტა ხელმძღვანელები გაუფასურებული ვაუჩერების მასობრივ შეძენას ახორციელებდნენ და ითვისებდნენ საწარმოებს. ამგავრმა ქმედებებმა ძალიან ცუდი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და პირდაპირი უცხოური ინვესტირების I პერიოდში, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გაგაცნობთ, მივიღეთ უცხოური ინვესტიციების სავალალოდ დაბალი მაჩვენებელი.

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა ქვეყნები დღითიდღე უფრო მეტად იაზრებენ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

მსოფლიოში 90-იან წლებამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა არასტაბილურად მიმდინარეობდა, თუმცა მას შემდეგ ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1990 წლებში 55 მილიარდი აშშ დოლარიდან 220 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა და 1992 წლისთვის ზრდის მაჩვენებლები მას შემდეგაც ფიქსირდებოდა, თუმცა ფიქსირდებოდა მცირე მეორეობებიც. მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მაჩვენებლებმა 2007 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დააფიქსირა და 2 ტრილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფარგლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად დაიკლო 2008 წელს, ნიშნულმა განიცადა 10%-იანი შემცირება და 1.75 ტრილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა (UNCTAD, 2009). მომდევნო წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის კვლევა გაგრძელდა და 1.2 ტრილიარდ აშშ დოლარამდე დაეცა, როგორც იქნა 2010 – 2011 წლებში შეინიშნებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატება და 2009 წელთან შედარებით 30 %-ზე მეტით გაიზარდა. 2011 წელში დაფიქსირდა 1.7 ტრილიონი. 2012 წელს გასულ წელთან შედარებით კვლავ დაეცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი და 1.35 ტრილიონ აშშ დოლარამდე დავიდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით



წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.1>1>

2013 წლის მონაცემებით გლობალურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კვლავ ზრდის ტენდენცია დააფიქსირა და 9%-იანი ზრდით 1.45 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია. UNCTAD-ის კვლევის თანახმად 2014 წელს 1.6 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა, 2015 წელს კი 1.7 ტრილიონ აშშ დოლარამდე. ამავე კომპანიის კვლევის თანახმად შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ მსოფლიოს ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დეკადის მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიედინება განვითარებად ქვეყნებში უფრო მეტად, ვიდრე განვითარებულლებში, როგორც ეს XX საუკუნეში იყო.

მსოფლიოს მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა 2012 წელთან შედარებით 9%-ით მოიმატა განვითარებულ ქვეყნებში და 455 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც იმ წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მაჩვენებლის 39% იყო. მაშინ როდესაც, ეს მაჩვენებელი განვითარებად ქვეყნებში 778 მილიარდი აშშ დოლარი იყო. განვითარებადი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მასა აზიის განვითარებად ქვეყნებში იყრის თავს (124 მილიარდი აშშ დოლარი) დანარჩენი კი (108 მილიარდი აშშ დოლარი) გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გადანაწილდა.

წარმოდგენილია ცხრილი 2011 – 2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადანაწილება რეგიონების მიხედვით, აბსოლუტურსა და პროცენტულ მაჩვენებლებში (ცხრილი 1.4)

ცხრილი 1.4

2011 – 2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

	აბსოლუტურ მაჩვენებლებში			პროცენტულ მაჩვენებლებში		
	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
მსოფლიო	1700	1330	1452	100	100	100
განვითარებული ეკ.	880	517	566	51,8	38,8	39
ევროკავშირი	490	216	246	28,8	16,2	17
ჩრდ. ამერიკა	263	204	250	15,5	15,3	17,2
განვითარებადი ეკ.	725	729	778	42,6	54,8	53,6
აფრიკა	48	55	57	2,8	4,1	3,9
აზია	431	415	426	25,3	31,2	29,4
ლათინური ამერიკა	244	256	292	14,3	19,2	20,1
ოკეანეთი	2	3	3	0,1	0,2	0,2
გარდამავალი ეკ.	95	84	106	5,6	6,3	7,4

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნები ბოლო ათწლეულში საგრძნობლად შესამჩნევები გახდნენ გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რუქაზე. ამ ყველაფრის, ასეთი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურმა მდგომარეობამ გადაუსწროს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთანავე, განვითარებული ქვეყნების მიერ გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დომინირება კლებულობს და 2011 წლიდან - 71%-დან 2013 წლამდე - 60.8%-მდე დაეცა

წარმოადგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის ცხრილი რეგიონების მიხედვით - 2011 – 2013 წლები (ცხრილი 1.5).

ცხრილი 1.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის ცხრილი რეგიონების მიხედვით - 2011 – 2013 წლები

	აბსოლუტურ აჩვენებლებში			პროცენტულ მაჩვენებლებში		
	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
მსოფლიო	1 712	1 347	1 411	100	100	100
განვითარებული ეკ.	1 215	853	857	71	63,3	60,8
ევროკავშირი	585	238	250	34,2	17,7	17,8
ჩრდ. ამერიკა	439	422	381	25,6	31,4	27,0
განვითარებადი ეკ.	423	440	454	24,7	32,7	32,2
აფრიკა	7	12	12	0,4	0,9	0,9
აზია	304	302	326	17,8	22,4	23,1
ლათინური ამერიკა	111	124	115	6,5	9,2	8,1
ოკეანეთი	1	2	1	0,1	0,1	0,1
გარდამავალი ეკ.	73	54	99	4,3	4,0	7,0

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

მსოფლიოს მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც იმპორტიორი ასევე ექსპორტიორი ლიდერი აშშ-ია.

- აშშ - 2013 წელს აშშ-მ მიიღო და გასცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი რაოდენობა 526 მილიარდი აშშ დოლარი.
- ჩინეთი - მეორე ადგილი 225 მილიარდი აშშ დოლარი.
- რუსეთი - მესამე ადგილი 74 მილიარდი აშშ დოლარი.

2013 წლის მონაცემებით.

წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტისა და ექსპორტის ამსახველი ცხრილი (მილიარდი აშშ დოლარი) (ცხრილი 1.6).

ცხრილი 1.6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტისა და ექსპორტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი 2012-2013 წწ			პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტი 2012-2013 წწ		
ქვეყანა	2012 წ	2013 წ	ქვეყანა	2012 წ	2013 წ
აშშ	161	188	აშშ	367	338
ჩინეთი*	121	124	იაპონია	123	136
რუსეთი*	51	79	ჩინეთი*	88	101
ჰონგ-კონგი*	75	77	რუსეთი*	49	95
ბრაზილია*	65	64	ჰონგ-კონგი *	88	92
სინგაპური*	61	64	შვეიცარია	45	60
კანადა	43	62	გერმანია	80	58
ავსტრალია	56	50	კანადა	55	43
ესპანეთი	26	39	პოლანდია	0	37
მექსიკა*	18	38	შვედეთი	29	33

წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--..-4----4----0-1|--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.5>=1>

ყურადსაღებია, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი საუკეთესო ათეულის თითქმის ყველა ქვეყანაში გაიზარდა გარდა ბრაზილიისა და ავსტრალიისა. ექსპორტის კუთხით, კი აშშ-მ გერმანიამ და კანადამ შეამცირეს თავიანთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დანარჩენ მსოფლიოში. დარჩენილმა შვიდმა ქვეყანამ გაააქტიურა მისი საზღვარგარეთული საინვესტიციო ბაზრები.

ამავდროულად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გამოვლენილი აგრესიისა და დასავლეთიდან დაწესებული სანქციების მიუხედავად 2013 წელთან შედარებით 2014 წელს რუსეთის მიერ მიღებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა თითქმის 60%-ით მოიმატა, 51 მილიარდი აშშ დოლარიდან 79 მილიარდ აშშ დოლარამდე. რაც აშკარად ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ კრილში დაბრკოლებების მიუხედავად რუსეთი თანარჩენი მსოფლიოსთვის აქტუალურია. ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან შეინიშნება ექსპორტირებული ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა 49 მილიარდი აშშ დოლარიდან 95 მილიარდ აშშ დოლარამდე. საბოლოოდ UNCTAD-ის მიერ საინვესტიციო პოლიტიკაზე დაკვირვების შედეგად მსოფლიო ომასშტაბით 2000-დან 2013 წლამდე საგრძნობლადაა რეორგანიზებული სახელმწიფოების დამოკიდებულება საინვესტიციო პოლიტიკის მიმართ.

1.3 საქართველოს კანონი – ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ

საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ თავისთავად მორგებულია ინვესტორების ხელშეწყობასა და განვითარებაზე. კანონის მოქმედება ძალაში შევიდა 2006 წლის 1 აგვისტოდან, რომლის მიზნების

„ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი რეჟიმის შექმნით“ (საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, მუხლი 1). ზემო აღნიშნული კანონით განსაზღვრული უფლებები თუ მოვალეობი ვრცელდება ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. მისი მოქმედება, კი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს საინვესტიციო სააგენტო, ასე ეწოდება სააგენტოს რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორთან ურთიერთობის დროს, და უზრუნველყოფს საქართველოში დაბანდებული და გამოყენებული ინვესტიციების მხარდაჭერას. საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს მუშაობას საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ინვესტირების განვითარებისთვისა და მხარდაჭერისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტად მიიჩნევა ინვესტორის უფლებები.

ინვესტორს უფლება აქვს:

- მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის გაცემა სააგენტოს შუამავლობით.
- მოითხოვოს მოითხოვოს მქონების შეძენა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურის განხორციელება სააგენტოს შუამავლობით.
- მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მის პირობით უფლებებს და ლიცენზიის / ნებართვის გაცემის პროცედურებს.

საქართველოს კანონში ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ მე-5 მუხლში გახილულია ინვესტორებისთვის წინასწარი ნებართვების ან/და ლიცენზიები გაცემის წესები. აღნიშნული მუხლის ქვეპუნქტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სარგებლობის ლიცენზიის გარდა, კანონით დადგენილი

მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ შესაძლოა გაიცეს ნებისმიერი სახის ნებართვა ან ლიცენზია.

- ლიცენზიის ან/და ნებართვის მოთხოვნის უფლება აქვს ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. დაინტერესებულმა პირმა გაცხადებით და ყველა საჭირო დოკუმენტაციით უნდა მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ასევე საჭიროა ტექნიკური პროექტის წარდგენა (საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა პუნქტებზე დაყრდნობით);
- ადმინისტრაციული ორგანოს კანონის ფარგლებში ვალდებულია შესაბამის ვადებში გასცეს სანებართვო პირობები ან საჭიროების შემთხვევაში დაკმაყოფილების ვადები.
- აღნიშნული წინასწარი ნებართვა ან ლიცენზია ძალაში მას შემდეგ შევა, რაც დაინტერესებული პირი წარადგენს შესაბამის დოკუმენტებს (დოკუმენტი უნდა ასახავდეს სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილების დადასტურებას);
- ნებასთვის ან ლიცენზიის ძალაში შესვლის შემდეგ დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე დაუშვენელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის ან ლიცენზიის რომელიმე ნაწილის შეცვლა. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით დადგენილი სალიცენზიო/სანებართვო პირობები შეიცვლება ეს არ გავრცელდება უკვე გაცემულ ლიცენზიებსა და ნებართვებზე აღნიშნული აქტის გამოცემიდან 5 წლის ვადაში.
- წინასწარი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში დადგენილი წესით და ამას არეგულიურებს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ მე-6 მუხლში განხილულია ადგილობრივი ქონების შეძენასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული მუხლის შესაბამისად ინვესტორს უფლება აქვს:

- ინვესტორს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფოს ქონების შეძენის ინტერესების გამოხატვით. ამ კრილში ქონება მიიჩნევა მიწის ნაკვეთად, შენობა-ნაგებობად, ან აქციებად.
- სახელმწიფო ვალდებულია დათანხმდეს ინვესტორს ქონების მიყიდვაზე გარდა რამდენიმე შემთხვევისა:
 1. თუ ქონება არ ექვემდებარება პრივატიზებას ან კანონმდებლობით მიჩნეულია პრივატიზების სხვა წესი.
 2. თუ ინვესტორს ქონება ესაჭიროება ისეთი მიზნებისთვის, რომლის განხორციელებაც ეწინააღმდეგება ტერიტორიის ზონირების წესს.
 3. თუ ინვესტორი ქონების ნაწილს ითხოვს და მისი გასხვისება დაარღვევს ტერიტორიის მთლიანობას.

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უარის გაცემის დროს სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს უარი. პრივატიზების გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება

საქართველოს კანონში ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ IV თავში გახილულია ქვეყნის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების ხელისშემწყობი რეჟიმი.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციები:

- ის ინვესტორი რომელიც გეგმავს რომ საქართველოში განახორციელებს 8 მილიონი დოლარის ინვესტიციას შეუძლია სახელმწიფოსგან მოითხოვოს განსაკუთრებული ინვესტორის სტატუსი. გამომდინარე იქიდან, რომ დაბანდებული თანხა (8 მილიონი აშშ დოლარიდან) მნიშვნელოვან დადებით

ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

- აღნიშნული მახასიათებლის გარდა განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსი მიენიჭება ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც განხორციელდება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში და რომელთა კაპიტალი 2 მილიონ აშშ დოლარს აღემატება, ასევე სტატუსის მინიჭება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც თუ მაღალმთიან რეგიონში განხორციელებული ინვესტიცია კარგად აისახება საქართველოს ეკონომიკასა ან/და ინფრასტრუქტურაზე.
- განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭება ინვესტორს შეუძლია მოითხოვოს როგორც ინვესტიციის განხორციელებამდე, ასევე დაწყების შემდეგ.

ასეთი ინვესტიციების განხორციელების დროს ინვესტორი ვალდებულია თავის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის შესახებ აცნობოს საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს. აღნიშნული სააგენტო იღებს პასუხისმგებლობას ინვესტორის უფლებების დარღვევის გამოვლენასთან და შექმნილი პრობლემების აღმოფხვრის შესახებ.

თავი 2. საინვესტიციო გარემო საქართველოში

2.1 საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ეტაპები

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად. I პერიოდი - 1995-1996 წლებიდან 2002 წლამდე, II პერიოდი 2003 წლიდან 2011 წლამდე და III პერიოდი 2012 წლიდან - დღემდე.


I პერიოდი - უკავშირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესს. იმ დროისთვის არ იყო პრივატიზების ფორმები „სრულყოფილად“ ჩამოყალიბებული და აღნიშნული პროცესი ხშირ შემთხვევაში ირღვეოდა და გაურკვეველი მეთოდებით ხორციელდებოდა. ხშირად ეს პროცესი ერთ პირზე ან ერთ ჯგუფზე იყო მორგებული და გულისხმობდა სახელმწიფო ქონების პირდაპირ გადაცემას, „მიყიდვის“ ან იშვიათად ნულოვანი აუქციონის ფორმით ხდებოდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოკვლეულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალზედ უმნიშვნელო იყო საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 1996 წელს დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რომელიც შედგენდა 3.8 მილიონ აშშ დოლარს. შემდეგ წელს საგრძნობლად იმატა FDI-ის მაჩვენებელმა და 1997 წლის ბოლოს შეადგინა 242.6 მილიონი აშშ დოლარი, ასევე ზრდა დაფიქსირდა 1998 წელსაც და დაფიქსირდა 265.3 მილიონი აშშ დოლარი. 1999 წელს იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის რადიკალური ვარდნა, ეს რიცხვი დაეცა 82.2 მლნ. აშშ დოლარამდე - ანუ FDI-ის მაჩვენებელი 3,22- ჯერ შემცირდა 1998 წელთან შედარებით. შემდგომ წლებში სტაბილურად ფიქსირდებოდა მცირე მატებები და კლებები. 2000 წელს დაფიქსირდა FDI 131.2 მლნ. აშშ დოლარი - მშემდეგ მცირედი კლება 109.8 მლნ. აშშ დოლარამდე 2001 წელს და შემდეგ ისევ მატება 2002 წელს, როდესაც FDI-ის

მაჩვენებელმა შეადგინა 160.2 მილიონი აშშ დოლარი. დეტალურად შეგვიძლია გავეცნოთ ცხრილს (ცხრილი 1.7).

ცხრილი 1.7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების I პერიოდის კვარტალური დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი):



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

II პერიოდი - იგივე „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ეტაპია. საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად იქცა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათთვის ხელისშემწყობი პირობების შექმნა. ზუსტად 2003

წლიდან დაიწყო რადიკალური რეფორმების კურსი - რომელიც FDI - ის მაჩვენებლის გაზრდის საწინდარი გახდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები დრო დადგა საქართველოში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ბიზნეს სექტორის განვითარებას. სწორად ნახსენები ხელისუფლები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო ბიზნეს რეგისტრაციის გამარტივება, დაკისრებული გადასახადების ოპტიმიზება, 26 ქვეყანასთან გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რათა სახელმწიფოს თავიდან აეცილებინა ორმხრივი დაბეგვრა, ძალაში შევიდა გაკოტრების კანონი.

ზუსტად ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო 2003 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა და საქართველოს ხელისუფლებამ ნამდვილად შეძლო . FDI-ის ჯამური მაჩვენებელი 2003 წლიდან - 2011 წლის ჩათვლით იყო 8412,4 მილიონი აშშ დოლარი, რაც 7417.3 მილიონი აშშ დოლარით მეტი იყო I პერიოდის FDI-ის ჯამურ მაჩვენებელზე.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმაღლესი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს 1752,64 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ქვეყნის ასეთი ეკომონიკური წარმატების საწინდარი გახდა იმდროინდელი ხელისუფლების დაუღალავი შრომა, გატარებული რადიკალური რეფორმები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და საკანონმდებლო სისტემის ძირეული ცლილებები. ამ ყველაფერმა გაზარდა ინტერესი სხვა ქვეყნებიდან რომ განეხორციელებინათ ინვესტიციები საქართველოში.

საქართველოს ეკომონიკისთვის უმძიმესი პერიოდი იყო 2008 და 2009 წელი. რუსეთ - საქართველოს ომმა დიდი გავლენა იქონია ქვეყნის ეკომონიკის შერყევაზე. რუსეთის მიერ ოკუპირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობდა ეკომონიკური კრიზისი, საქართველოში იყო არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა რამაც საგრძნობლად უკან დასწია ქვეყნის ეკომონიკური მდგომარეობა, შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი. 2008 წელს FDI- ის

მაჩვენებელმა შეადგინა 1569.7 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2009 წელს შეადგინა 664.2 მილიონი აშშ დოლარი. უფრო დაწვრილებით გავეცნოთ FDI-ის მაჩვენებლის II პერიოდის ცხრილს.

ცხრილი 1.8

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების II პერიოდის კვარტალური დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)




წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია არაბეთის გაერთიანებული ემირატების მიერ იქნა ჩადებული, საიდანაც საქართველოში 306,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის

ინვესტიცია განხორციელდა, რიგითობის მიხედვით - ინვესტიციების რაოდენობით მეორე ქვეყანა, რომელმაც ყველაზე დიდი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში იყო ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც 167.9 მილიონის აშშ დოლარის რაოდენობის ინვესტიცია განახორციელა. მესამე ადგილზე მოდის თურქეთი რომელმაც შეადგინა 164.4 მილიონის აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

დიაგრამა 1.9

უმსხილესი ინვესტორი ქვეყნების წილის განაწილება




წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/6>

III პერიოდი - 2012 წლიდან - დღემდე. ქვეყანაში 2012 წლიდან ახალი ხელისუფლების მმართველობაა. დაიწყო ახლებური მიდგომები და ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ახალი რეფორმების ჩამოყალიბება, ინვესტორების მოზიდვა. დაიწყო სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური განვითარება. საქართველოს უახლეს ისტორიაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მათგანი. შესაბამისად მმართველი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის პირველი და მეორე წელიწადი ვერ იყო იმდენად ეფექტური ინვესტიციების მხრივ, რამდენადაც გასული წლები.

საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რიცხვმა 2012 წელს შეადგინა 1022.9 მილიონი აშშ დოლარი. რაც 2011 წლის მონაცემთან შედარებით 107 მილიონი აშშ დოლარით შემცირებას ნიშნავს. 2013 წელს ძალიან მცირე განსხვავება დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს FDI-ის მაჩვენებლის რადიკალური ზრდა. 2014 წლის ბოლოს აღნიშნულის მოცულობამ 1817,689 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წლის FDI-ის მაჩვენებელი 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით 78%-ით გაზრდა.

ცხრილი 2.0

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების III პერიოდის კვარტალური დინამიკა (მლნ. აშშ. დოლარი)



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>


წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით

2.2 საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში საქსტატი) ინფორმაციით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2006 წლიდან 2017 წლამდე არასტაბილური იყო.

ცხრილი 2.1


საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა - წლების მიხედვით 2006 წლიდან – 2017 წლის ჩათვლით (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

დაწვრილებით გასაანალიზებლად შეგვიძლია განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა სხვადასხვა კუთხით.


2006 წლიდან - 2017 წლის ჩათვლით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვარტალური დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან ყველაზე დიდი ნაწილი საფინანსო სექტორზე მოვიდა (22.5%), კლების მიხედვით მას მოჰყვება სატრანსპორტო სექტორი (17%) და ენერგეტიკის სექტორი (12.8%)

2018 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ეკონომიკის სექტორების მიხედვით:



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

ძალიან მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონების მიხედვით. 2009 წლიდან 2015 წლის ჩათვლით არანაირი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არ ფიქსირდებოდა: შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, სამეგრელო - ზემო სვანეთში, გურიაში და რაჭა რეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

2017 – 2018 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - კომპონენტების მიხედვით
(მლნ. აშშ. დოლარი):

2017 წ.	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სააქციო კაპიტალი	164 374,5	295 232,0	339 688,1	388 561,9
რეინვესტიცია	175 524,1	133 134,0	235 975,8	112 872,0
სავალო ვალდებულებები	53 749,3	-72 541,4	47 132,4	20 788,7
სულ	393 648,0	355 824,5	622 796,3	522 222,5

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/6>

2018 წ.*	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სააქციო კაპიტალი	123 547,7	205 025,7	211 258,8	160 035,6
რეინვესტიცია	192 849,9	178 613,3	130 692,8	56 656,0
სავალო ვალდებულებები	-16 259,5	6 792,7	2 788,8	-19 553,8
სულ	300 138,1	390 431,7	344 740,3	197 137,8

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/1557>

**წინასარ მონაცემებზე დაყრდნობით*

წარმოდგენილია 2009 – 2018 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონების მიხედვით (ათასი შშ დოლარი):

რეგიონი	2009	2010	2011	2012	2013
სულ	664 190,7	845 100,1	1 129 948,0	1 022 927,8	1 020 538,7
მათ შორის:					
ქ. თბილისი	349 177,0	586 197,1	782 498,8	767 692,0	742 220,9
აჭარა	99 386,4	58 935,5	95 849,6	56 287,5	83 137,5
კახეთი	4 193,9	-4 810,3	2 759,9	16 563,2	11 028,6
სამცხე-ჯავახეთი	.459,4	23 026,8	12 228,8	26 370,0	51 729,7
ქვემო ქართლი	49 765,0	66 685,4	146 882,6	41 648,3	16 309,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	100 357,2	25 339,7	70 148,3	61 922,4	57 229,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი
გურია
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61 058,0	80 126,5	5 325,2	40 024,0	59 124,4
იმერეთი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	712,7	9 599,4	14 254,6	12 420,4	-241,4
შიდა ქართლი
მცხეთა-მთიანეთი

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

რეგიონი	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	1 817 689,7	1 665 557,6	1 565 837,6	1 894 491,3	1 232 447,9
მათ შორის:					
ქ. თბილისი	1 366 796,0	1 328 324,7	1 335 897,4	1 471 655,7	966 765,7
აჭარა	169 240,7	206 539,8	99 601,3	193 797,3	35 073,7
კახეთი	15 796,3	16 118,6	3 903,8	6 179,7	-136,4
სამცხე-ჯავახეთი	74 258,9	31 536,1	30 807,2	39 002,7	32 282,1
ქვემო ქართლი	55 650,8	21 159,8	28 990,7	64 359,0	85 087,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	93 648,2	51 209,5	35 050,1	50 558,5	43 266,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	34 492,4	49 424,8	42 844,2
გურია	557,7	1 133,6	422,2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	27 951,1	25 701,8	28 052,2	60 488,7	47 926,9
იმერეთი	27 991,0	58 072,0	47 128,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61,1	2 416,7	798,7
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	14 347,8	-15 032,7	3 535,0	8 449,8	22 182,6
შიდა ქართლი	4 541,4	-689,8	14 558,9
მცხეთა-მთიანეთი	-1 006,4	9 139,6	7 623,7

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

2.3 საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ინვესტიციებთან მიმართებაში

ერთის მხრივ, 2005 წლის შემდეგ ნათელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა თავის მხრივ, კი დაფიქსირდა უცხოურ ინვესტორთათვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება. უფრო კერძოდ კი, 2004 წლიდან ჩატარდა რადიკალური რეფორმები. აღნიშნული რეფორმების ძირითადი მიზანი, კი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა იყო. ხსენებული რეფორმების მთავარი შედეგი დაბეგვრის გამარტივებული პროცედურები და გადასახადების შემცირება იყო. 21 სახის გადასახადიდან რომელიც 2004 წელს ფიქსირდებოდა დარჩა მხოლოდ 6 სახის გადასახადი. ინვესტორებისთვის გადასახადის რაოდენობის შემცირებას აქვს შემდეგნაირი დატვირთვა, ერთის მხრივ, მცირდება საგადასახადო ხარჯი და ასევე მცირდება საერთო საგადასახადო და ბუღალტრული დეკლარაციების ხარჯები. უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით 2004 წლიდან მიღებული იყო სპეციალური საგადასახადო შეღავათები ერთ-ერთია კაპიტალის დანახარჯები.


სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით დამატებითი ღირებულებებისა და სოციალური გადასახადების არსებობა ქონების გადასახადიდან განთავისუფლება იყო ერთ-ერთი მთავარი რეფორმა და უცხოური წყაროდან მიღებული შმოსავლის კაპიტალის განთავისუფლება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის მხარდასაჭერად საქართველოს საგადასახადო კოდექსში სპეციალური სტატუსები შემოვიდა. საერთაშორისო საწარმოო და უცხოური კომპანიის ფილიალი, საინვესტიციო მიზნებისთვის შექმნა სპეციალური ზომები სადაც უცხოელი ინვესტორებისთვის დაბეგვრა ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით არსებობს.

წარმოდგენილია დიაგრამა საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი კომპანიების მიმართ მიდგომა საკმაოდ ლიბერალურია (ცხრილი 2.8).

ცხრილი 2.8

დივიდენდების და მოგებების გადასახადის ამსახველი ცხრილი 2004 - 2014




წყარო: <https://www.rs.ge//4777> ; https://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=8731

ცხრილი შდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და „გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთისა“ და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ რატიფიცირებული კონვენციების მიხედვით“.

ცხრილზე ნათლად ჩანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმახორციელებელი ინვესტორების მისამართით მოქმედებს საკმაოდ ლიბერალური რეჟიმი. 2004 წლის საგადასახადო რეფორმების შემდგომ მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე ხოლო დივიდენდების დაბეგვრა 2012 წლიდან 3%-დან შემცირდა 0%-მდე. დივიდენდების 0% დაბეგვრა ხელს უწყობს ერთობლივი სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებას, რაც დამატებით ფინანსური რესურსების მოძიების საფუძველი გახდება.

საგადასახადო განაკვეთების შესახებ თვისუფალ ინდუსტრიულ ზონებში (თიზ-ში) და დანარჩენ ტერიტორიებზე (თიზ-ის გარეთ) საქართველოში.



წყარო: https://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=8731

მოცემული ცხრილიდან გამომდინარე ნათელია რომ თიზ-ში, ანუ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში არის შემოღებული მოგების დამატებით ღირებულება და ქონების გადასახადები. ამგვარი პოლიტიკური მიდგომის შედეგი ის არის რომ ეს ყველაფერი ამცირებს დანახარჯებს კომპანიისთვის და ქვეყანაში ქმნის ერთგვარ იმიჯს რომ ქვეყანა მხარს უჭერს უცხოელ ინვესტორებს .

უცხოური ინვესტიციების მიმართ არსებული საგადასახადო პოლიტიკა ასახულია რიტიფიცირებულ ხელშეკრულებაში „ორმაგი დაბეგვრის თავიდანაცილების შესახებ“. აღნიშნული ხელშეკრულების მთავარი მიზანია რომ ინვესტორს შეექმნას გარკვეული სახის გარანტიები რითაც გამოირიცხება ორმაგი დაბეგვრის საშიშროება. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რიტიფიცირებული აქვს ყველა ძირითად პარტნიორ ქვეყანასთან ეს არის 44 ქვეყანა. ამ რეგულაციების მიხედვით ინვესტორს აქვს იმის გარანტია რომ ის არ მოექცევა, როგორც უკვე ავღნიშნეთ ორმაგი დაბეგვრის ქვეშ.

ასეთი რეფორმები და საკანონმდებლო-პოლიტიკური ცვლილებები საგადასახადო სფეროში მსოფლიოში აღიარებული როგორც პოზიტიური შედეგების მომტანი და საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რაც უკვე აღინიშნა, რამდენჯერმე იყო ასახული არაერთ საერთაშორისო კვლევაში

ჟურნალ „ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებული 2008 წლის კვლევა. კვლევის თანახმად საქართველო ფიქსირდება ყველაზე ნაკლებ საგადასახადო დატვირთვის მქონე ქვეყანად.

ფრეიზერის უნივერსიტეტის კვლევის „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში“ მიხედვით საქართველოს ეკონომიკა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით გამოკვლეული 144 ქვეყნიდან 27-ე ადგილს იკავებს .

„ბიზნესის კეთება მსოფლიოში“ მსოფლიო ბანკის საერთაშორისო კვლევის საფუძველზე საქართველო ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე იდგა. ინდექსის მნიშვნელოვან კომპონენტს გადასახადების გადახდა და საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობა წარმოადგენს. ინდექსის საერთო ფასებით საქართველო იკავებს მოწინავე პოზიციებს. აღნიშნული კვლევა ასახავს ბიზნესის რეგულირებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში . პირველად ეს კვლევა გამოქვეყნდა 2003 წელს და რამდენიმე ძირითად მაჩვენებელს მოიცავდა, გამოკვლეული 133 ქვეყნის მიხედვით.

მომდევნო წლებში მაჩვენებელთა რიცხვი უკვე 11-მდე გაიზარდა ხოლო კვლევის მონაწილე ქვეყნების რიცხვი 185-მდე, ბოლო 10 წლის მანძილზე „ბიზნესის კეთება მსოფლიოში“ -ის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიხედვით გამოკვლეული იქნა დაახლოებით 2000-მდე ბიზნესის რეგულირების რეფორმა. მსოფლიოს პრესტიჟულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 1000-მდე სტატია რომლებიც ეხებოდა ბიზნესის რეგულირების რეფორმებს.

ბიზნესის კეთების ინდექსი აერთიანებს ორი სხვადასხვა ტიპის ინდიკატორებს:

- უკავშირდება ეკონომიკასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ინსტიტუციების სიძლიერეს
- უკავშირდება რეგულირების პროცესის კომპლექსურობას და დანახარჯებს.

ცხრილი 3.0

საქართველოს პოზიცია „ბიზნესის კეთების“ ინდექსის მიხედვით 2006-დან 2011 წლის ჩათვლით).

2006 წ.	112
2007 წ.	37
2008 წ.	21
2009 წ.	16
2010 წ.	13
2011 წ.	17

წყარო: <https://forbes.ge/news/5316/me-6-adgili-biznesis-keTebis-reitingSi>

ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით იკავებს ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას. აღნიშნული მოხსენების მიხედვით, საქართველო იმ 12 ქვეყნის ეკონომიკების სიაშია სადაც არ არსებობს სოციალური და შრომასთან დაკავშირებული სხვაგვარი გადასახადები. აღნიშნული კვლევის მიხედვით, საქართველო იმ მცირე რიცხოვანი ქვეყნების წევრია, რომლებმაც დანერგეს გამარტივებული საგადასახადო დეკლარირების სისტემები - იგივე ელექტრონული დეკლარირების სისტემა. 2013 წელს მინიჭებული ქულით საქართველო ქვეყანათა საერთო რეიტინგში მეცხრე ადგილს იკავებს რაც წინა წელთან შედარებით 3 ადგილით გაუმჯობესებას ნიშნავს. ბიზნესის დაწყების სიმარტივით საქართველო მე-7 ადგილს ინარჩუნებს სტაბილურად. ასევე, არ არის ცვლილებები სამშენებლო ნებართვების და ქონების რეგისტრაციის კუთხით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შეფასება ელექტრო ენერჯის კუთხით- 2012 წელს

დავიკავეთ 88-ე ადგილი ხოლო 2013 წელს 50-ე ადგილი. 2013წლის მოხსენებების მიხედვით და ასევე აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით 2012 წელთან შედარებით გადასახადების გადახდის და კონტაქტების შესრულების უზრუნველყოფის კუთხით საქართველომ პროგრესს მიაღწია. საქართველო უცხოელ ინვესტორთა თვალში წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გამტარებელი ქვეყანაა. მსოფლიოში აღიარებულ საერთაშორისო კვლევებში საქართველო პოზიტიურად იყო გადმოცემული მისი ეკონომიკური და საგადასახადო რეფორმებიდან გამომდინარე.

თავის მხრივ, 2004 წლის შემდეგ ნათელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება. დასაშვებია ის ფაქტი, რომ ამ ორ ფაქტორს შორის არის პირდაპირპროპორციული კავშირი. საგადასახადო პოლიტიკა განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის რაოდენობას საქართველოში მაგრამ თეორიულად აღსანიშნავია ისიც რომ არარსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები რომლებიც განსაზღვრავენ საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას.

2013 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა უცხოელ ინვესტორების გამოკითხვა კვლევის მიზნებისთვის შემუშავებული იყო კითხვარი . საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი იყო 2014 და 2015 წლების მსხვილ უცხოელ ინვესტორთა სია, გამოკითხვები ჩატარდა ინტერვიუს მეთოდით, მთლიანობაში გამოკითხა 25 უმსხვილესი ინვესტორი საქართველოში. მიუხედავად რესპოდენტების სიმცირისა მათი პასუხები მოცემული კვლევის პირობებში შვეიძლია განვაჯრცოთ.

სექტორული დაყოფა ასე იყო გადანაწილებული: მომსახურების სფერო-13, მწარმოებლური სფერო-10, ენერგო სექტორი-2,

კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავდა - კომპანიისგან ზოგადი ინფორმაციის მიღებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: საქმიანობის სექტორი,

სამართლებრივი ფორმა, განხორციელებული ინვესტიციის ფინანსური მოცულობა და ა. შ.

კითხვარის შემდეგ ნაწილში მოცემული იყო კითხვები იმ ძირითად საინვესტიციო ფაქტორებზე რაც ზოგადად განსაზღვრავს ინვესტირების განხორციელების ალბათობას უცხო ქვეყანაში.

კითხვარის ბოლო ნაწილში მოცემული იყო მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული ნაწილები, ამ შემთხვევაში კი, გათვალისწინებული იყო ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებები. 10 ძირითად ფაქტორს შორის კვლევში მონაწილეობა მიღებულმა ინვესტორებმა საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორს მიანიჭეს მე-4 ადგილი, მაკრო ეკონომიკური სტაბილურობის შრომის ბაზრის რეგულაციის თავისებურებებსა და სატრანსპორტო ხარჯების შემდეგ.

ამ კითხვარის შესავსებად გამოყენებული იყო 10 ბალიანი სისტემა. შედეგების მიხედვით საგადასახადო განაკვეთებმა მიიღო საშუალო არითმეტიკული 5.33 ქულა. საგადასახადო ადმინისტრირებას უცხოელმა ინვესტორებმა მიანიჭეს უფრო დიდი ქულა და საშუალო არითმეტიკულით გამოვიდა შვიდი ქულა. მოცემულ კითხვარში არ იყო ჩართული კლასიკური ბაზრის ზომა და რესურსების ხელმისაწვდომობა.

დიაგრამაზე ნათლად ჩანს საინვესტიციო გარემოს ინსტიტუციურ ფაქტორთაგან ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად გამოკითხულ უცხოელ ინვესტორებს მიაჩნიათ - საკუთრების უფლების დაცულობა. საგადასახადო ადმინისტრირება და შრომის ბაზრის რეგულირების თავისებურებები. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კითხვებზე პასუხის გაცემისას ინვესტორები ითვალისწინებდნენ საქართველოში მათ მიერ უკვე დაგროვებულ გამოცდილებას.

შესაძლებელია ითქვას, რომ ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საგადასახადო ადმინისტრირების ფაქტორებს იმაზე მეტად ვიდრე ოფიციალურად არსებულ საგადასახადო განაკვეთებს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორები ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით (საშუალო არითმეტიკულით)

სატრანსპორტო ხარჯი	0.67	0.67	
ბიზნესის ლიცენზიები და ნებართვები	1.33		
ფინანსების ხელმისაწვდომობა	1.34	1.34	
კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა	3		
ეკონომიკის რეგულირება და პოლიტიკის სტაბილურობა	5	5	
საგადასახადო განაკვეთი	5.33	5.33	
შრომის ბაზრის რეგულირება	6.33	6.33	
საგადასახადო ადმინისტრირება	7	7	
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	7.33	7.33	
საკუთრების უფლების დაცულობა	7.67	7.67	

წყარო:

https://forbes.ge/news/search/?author_name=%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94


ძირითადი საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორების მიხედვით

ბუნებრივი და ინსტიტუციური ფაქტორები	საშუალო ქულა
ბუნებრივი რესურსები	1,67
ბაზრის ზომა	3,33
გეოგრაფიული მდებარეობა	2,67
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	4,67
საგადასახადო პოლიტიკა	3,00

წყარო: https://forbes.ge/news/search/?author_name=%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94

იმისთვის, რომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში მომხდარიყო კლასიკური საინვესტიციო და ინსტიტუციური ფაქტორების შედარება - კითხვარში გამოყოფილი კითხვის სახით იყო წარმოდგენილი საგადასახადო პოლიტიკის და კლასიკური საინვესტიციო ფაქტორების შედარება. გამოკითხული ინვესტორების ძირითადმა ნაწილმა 25 უცხოელი ინვესტორიდან - მნიშვნელოვან ფაქტორად ბაზრის ზომა დაასახელა, გამოკითხვის საშუალებით დადგინდა რომ ბაზრის ზომა და მაკრო ეკონომიკური სტაბილურობა შეფასდა 3.33 და 3.0 საშუალო ქულით. საგადასახადო პოლიტიკამ მოცემული ჩამონათვალის მიხედვით დაიკავა მე-3 ადგილი 5 ძირითად საინვესტიციო ფაქტორს შორის. ერთ-ერთი ინვესტორის პასუხის მიხედვით საგადასახადო პოლიტიკა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ისეთი ფაქტორების არსებობის შემთხვევაში როგორც არის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ა. შ. კვლევის შედეგად დადგინდა რომ საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ძირითადი საინვესტიციო ფაქტორების მიხედვით .

საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები.




წყარო:

https://forbes.ge/news/search/?author_name=%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A%E1%83%94

25 გამოკითხული ინვესტორიდან განაკვეთებს პირველი ადგილი მხოლოდ 6 ინვესტორმა მიანიჭა.

ასევე იყო კითხვა რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო გარემოს ფაქტორი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისას და წარმოდგენილია ცხრილი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო გარემოს ფაქტორი საქართველოში ინვესტირებისას (ცხრილი 3.4)

რამდენად მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკა, როგორც საინვესტიციო გარემოს ფაქტორი საქართველოში ინვესტირებისას.



წყარო: https://forbes.ge/news/search/?author_name=%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ თავისთავად ინვესტიციის განხორციელება უცხო ქვეყანაში ყოველთვის იქნება დაკავშირებული დადარისკებთან, თუმცა ამ რისკების რაოდენობა თავისთავად უფრო მაღალია განვითარებად ქვეყნებში, ისეთში როგორც საქართველოა. ამ რისკების ნაწილს თავისთავად შეადგენს საგადასახადო რეგულირების რისკები. საგადასახადო

რეგულირება საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ნიშნულია, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საინვესტიციო პროექტის მომგებიანობაზე.

მოცემული კვლევის ფარგლებში დასმულ შეკითხვაზე თუ რამდენად შეუძლია ლიბერალურ საგადასახადო რეგულირებას გადაწონოს საინვესტიციო გარემოში არსებული სხვა საბაზისო ნეგატივები გამოკითხული უცხოელი ინვესტორებიდან მნიშვნელოვანმა ნაწილმა 25-დან 16-მა ასეთი პასუხი გასცა, რომ საგადასახადო ფაქტორს განიხილავენ, როგორც დამატებით ფაქტორს საკუთრების უფლების დაცვისა დამაკრო ეკონომიკური ფაქტორის შემდეგ. გამოკითხული რესპოდენტებიდან, მხოლოდ 8 რესპოდენტმა გასცა ასეთი პასუხი- ლიბერალურ პოლიტიკას შეუძლია გადაწონოს საქართველოს საინვესტიციო გარემოში არსებული სხვა პრობლემები. მოცემულია ცხრილი როგორ ფიქრობთ შეუძლია თუ არა ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკას საქართველოში გადაწონოს საინვესტიციოს გარემოს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები (ცხრილი 3.3).

საბოლოოდ, დასკვნის სახით, შიძლება ითქვას, რომ საგადასახადო პოლიტიკას საკმაო მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო კლიმატისთვის. გატარებულმა საგადასახადო რეფორმებმა 2004 წლის შემდეგ საქართველოს შესძინა ეფექტური საინვესტიციო კლიმატის მქონე იმიჯი, რაც ასევე აისახა მრავალ საერთაშორისო მოხსენებაში.

თავი 3. ინვესტიციების მოზიდვის და გამოყენების ძირითადი მიმართულებები

3.1 ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების სრულყოფის მექანიზმები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებულია გარკვეული წინააღმდეგობები. თავის მხრივ მწვავე მოთხოვნაა უცხოურ ინვესტიციებზე, თუმცა მეორეს მხრივ ასეთმა მოქმედებამ შეიძლება საქართველო დასავლეთის „სანედლეულო დანამატად“ გახადოს. საჭიროა საქართველოში შემუშავდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეფექტური მექანიზმები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმის ძირითადი შემადგენელი პინქტია უცხოელი ინვესტორებისთვის მისაღები ეკონომიკური პირობების შექმნა და ამასთანავე შესაბამისი ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

ამასთანავე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მთელ მსოფლიოში ძლიერი კონკურენცია მიმდინარეობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებული საერთო სიძნელეების დაძლევათა. ამ ეტაპზე, როცა საქართველოში აუცილებელია სასესხო კაპიტალის იმპორტი - ამას ქვეყნის საბანკო სისტემის ძალიან დაბალი დონე უშლის ხელს. ქვეყანა უნდა ატარებდეს ინვესტორზე მორგებულ პოლიტიკას, ამას უნდა ერწყმოდეს წამახალისებელი ღონისძიებები და ეფექტური კონტროლი. ამგვარი კონტროლი გულისხმობს ინვესტიციების განხორციელების დროს მოგების გარკვეული ნაწილი მიღების გარანტიას და მისი საზღავრგარეთ გადაგზავნის შესაძლებლობის არსებობას.

უცხოური ინვესტორებზე დაყრდნობა არანაირად არ ნიშნავს ადგილობრივ ინვესტორთა უგულვებელყოფას, მათი შესაძლებლობის უგულვებელყოფას და უფლებების შევიწროვებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში შიდა და უცხოური ინვესტიციების არსებობა ერთმანეთს არ გამორიცხავს. აღსანიშნავია, რომ

მთავარი არა ინვესტიციათა რაოდენობა, არამედ მათი ხარისხია - ის თუ როგორ იმოქმედებს ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველომ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობით დასტურდება, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოური კაპიტალის დაბანდება ძირითადად ხდება სამეწამეო კაპიტალის სახით. ეს კი, გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში არა მხოლოდ კაპიტალის დაბანდება ხდება, არამედ თავად ინვესტორის შემოსვლა ქვეყანაში, რომელიც ხდება შექმნილი საწარმოო ობიექტის მესაკუთრე.

როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები იმიტომ აბანდებენ კაპიტალს საქართველოში, რომ დაიკავონ ადგილობრივი ბაზარი, მიიღონ სტაბილური შემოსავალი და თავისთავად მოგება. ამ ყველაფერს თავის მხრივ უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. ინვესტორი, რომელიც საქართველოში მოგებას იღებს გააქვს საზღვრებს გარეთ - თავის ქვეყანაში და ხდება ფულადი რესურსების უწყვეტი გასვლა. საკანონმდებლო ჩარჩოების ფარგლებში ამ პროცესის შეჩერება ქვეყნისთვის არაეფექტურია. შესაბამისად დაგროვილი ფინანსები გადინების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ქვეყანამ შეიმუშავოს ჭკვიანური მეთოდები. უფრო კერძოდ კი, ქვეყანამ უნდა მიმართოს ფულად მანიპულაციებს. სახელმწიფომ ხელოვნურად უნდა გაზარდოს ფასები იმპორტულ მასალებზე და ქვეყნიდან გატანილ პროდუქციაზე ხელოვნურად უნდა შეამციროს ფასები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად სამი ძირითადი პირობაა საჭირო:

- შესაბამისი ზომების მიღება საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად.
- ინვესტორზე მორგებული სამსართლებრივ-ადმინისტრაციული ჩარ.
- კონკრეტული წახალისებები უცხოელ ინვესტორთათვის.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომ, ვერ შეძლეს გადაელახათ მთავალი პრობლემა, რომელიც გულისხმობს სტაბილური პოლიტიკის უზრუნველყოფას.

როგორც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება, ინვესტორების შემოდინების გასაუმჯობესებლად აუცილებელია შესაბამისი საინვესტიციო კლიმატის შექმნა თუმცა მხოლოდ ეს პირობა FDI-ის მაჩვენებლის ზრდისთვის არ არის საკმარისი. უცხოელი ინვესტორებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირების დროს მნიშვნელოვანია ინვესტორმა დაინახოს ქვეყანამ რამდენად შეძლო საბაზისო რეფორმების განხორციელება და ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის შექმნა. თუმცა ეს მექანიზმი ვერ იქნება ყველა ქვეყნისთვის მისაღებეს დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, თანამედროვე პირობებში, საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად საჭიროა სტიმულირება. უცხოელი ინვესტორებისთვის წახალისების რამდენიმე სახეობა გამოიყოფა:

- ფისკალური წახალისება - რომელიც გულისხმობს საშემოსავლო გადასახადიდან განთავისუფლებას გარკვეული ვადით.
- ფინანსური წახალისება - დაწყებულს ინვესტიციებში გაწეული ხარჯების დასაფარად ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს სესხის გაცემა შეღავათიანი ტარიფით ან სესხის გაცემის გარანტია.
- სხვა წახალისება - სახელმწიფო ხარჯებით საინვესტიციო ინფრასტრუქტურის შექმნა.

წახალისების ამ ფორმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად იყენებენ პირდაპირი უცხოური ინვესტორების მოსაძიებლად. ასეთი სისტემის დანერგვა საქართველოში დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს უკანასკნელი მოითხოვს საგადასახადო სისტემის ცვლილებებს, საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ ახალი კანონის შემუშავებას, რომლებიც გამოიწვევს საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ასევე FDI-ის მოსაზიდად უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპების გამჭირვალობა. რადგან თვითონ პირდაპირი უცხოური ინვესტირება ხასიათდება გამჭირვალობის მაღალი დონით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს იმას რომ უცხოელი ინვესტორი უნდა იყოს ღია, თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის ორაზროვანი ინტერპრეტაცია. მსოფლიო დონეზე აღიარებული სტანდარტებით უნდა ჩატარდეს განხილვის პროცედურები და ეს ყველაფერი უნდა გაიმართოს საჯაროდ.

3.2 ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების სრულყოფის სტრატეგიის განხორციელების შესაძლო რისკები და მათი დაძლევის გზები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას წინ შემაფერხებელი ფაქტორები უდგას. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია საფონდო ბირჟის განუვითარებლობა.

საფონდო ბირჟა მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს საფონდო ბირჟის 2013 წლის მონაცემებით საშუალო დღიურმა ბრუნვამ მხოლოდ და მხოლოდ 7538 ლარი დააფიქსირა რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. თავად პრობლემა, თუ რატომ ვერ ვიტარდება საქართველოს საფონდო ბირჟა თვითონ აღნიშნულის ფუნქციონირებაში იმალება. საქართველოს საფონდო ბირჟა, ეს არის საქართველოში ერთადერთი ფასიანი ქაღალდების ბაზარი. საქართველოს საფონდო ბირჟა ამერიკელი ექსპერტებია რამატერიალური და USAID-ის მატერიალური დახმარებით შეიქმნა. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება 2000 წლის მარტში დაიწყო.

განვიხილოთ ქართული საფონდო ბირჟის ერთი-ერთი სავაჭრო დღე. მაგალითად - 2013 წლის 8 აპრილი:

- გარიგებათა რაოდენობა - 4.
- ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 520 000.
- გარიგებათა მოცულობა (ლარში) – 4 190 ლარი.

ეს იყო 8 აპრილის მონაცემები, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. განვიხილოთ სხვა სავაჭრო დღე მაგალითად 2009 წლის 30 მარტი:

- გარიგებათა რაოდენობა - 0.
- ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 0.
- გარიგებათა მოცულობა (ლარში) – 0.

მიხედავად, აღნიშნული მაჩვენებლებისა ქართულ საფონდო ბირჟას ეს არ გაკვირვებია, ვინაიდან მას ათეული ასეთი ნულოვანი დღე ახსოვს. მეორეს მხრივ, ქართულ საფონდო ბირჟას კარგი დღეებიც ახსოვს, როდესაც გარიგებათა რაოდენობა 100-ს გასცდა. საერთო ჯამში 2013 წლის მონაცემებით - საფონდო ბირჟის არსებობის მოკლე ხანში ასეთი იყო:

- გარიგებათა რაოდენობა - 26 642.
- ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 34.5 მილიონი.
- გარიგებათა მოცულობა (ლარში) – 268.2 მილიონი.

ეს ყველაფერი ხაზს უსვამს ქართული საფონდო ბირჟის სავალალო მდგომარეობას, ვინაიდან ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების რაოდენობის განხორციელებას საქართველო, მისი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე რამდენიმე წუთში შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საფონდო ბირჟის დამფუძნებლებს სრულიად სხვა წარმოდგენები და გეგმები ჰქონდათ მის პერსპექტივებთან დაკავშირებით სრულებით სხვა შედეგი გვაქვს დღესდღეობით.

ქართული საფონდო ბირჟის ინდექსი იგივე - GSX 2011 წელს 121.75-დან 78.83-მდე დაეცა. ანუ GSX-მა 2011 წლიდან 2012 წლის დასაწყისამდე 35.3%-ით დაეცა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ GSX-ის მაჩვენებლებით საშუალოზე დაბალ დონეზე ვართ.

საქართველოს საფონდო ბირჟის არსებობის ისტორიაში GSX-ის მაჩვენებლის მაქსიმუმი 268 იყო ხოლო, მინიმუმი 54.50.

იმის გასაგებად თუ, რატო არის საქართველოს საფონდო ბირჟა ასეთ სავალალო მდგომარეობაში, საჭიროა საკითხის საფუძვლიანად შესწავლა. ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ არის საქართველოს საფონდო ბირჟაზე ასეთი დაბალი აქტიურობა პირდაპირპროპორციულია ქვეყნის გარეთ განხორციელებულ სავაჭრო ოპერაციების მოცულობაზე. ექსპერტთა შეფასებით ქვეყანაში საფონდო ბირჟაზე არსებული გარიგებების მოცულობას 7-7.5 - ჯერ აღემატება ქვეყნის გარე გარიგებების მოცულობა. ექსპერტთა შეფასებით ეს ყველაფერი გამოიწვია იდროინდელი ეკონომიკის მინისტრის - კახა ბენდუქიძის ინიციატივით შეცვლილი საკანონმდებლო ინიციატივამ. კახა ბენდუქიძის ინიციატივით 2008 წელს კანონში „სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებები უნდა დაიდო მხოლოდ საფონდო ბირჟაზე“ შეიცვალა შემდეგით „ფასიანი ქაღალდების საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა ივაჭრობოდეს, როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე მის გარეთაც“. ამ ყველაფრის შედეგად ბიზნესმენებმა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ქვეყნის შიგა საფონდო ბირჟის გვერდის ავლით დაიწყეს.

საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი მმართველი ძალა ემხრობა საქართველოს საფონდო ბირჟის განვითარებას. და უფრო მეტიც, აპირებს გარკვეული ცვლილებების შეტანას, ასევე მიმდინარეობს საუბრები ქართული საფონდო ბირჟის გაერთიანებასთან დაკავშირებით ევროპულ საფონდო ბირჟებთან. მიუხედავად ყველა აღნიშნული პრობლემისა ხელისუფლების მიერ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში საქართველოს საფონდო ბირჟას უწერია განვითარება, რომელზეც ასე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საინვესტიციო საქმიანობის განვითარება.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც, ხელს უშლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარებას საქართველოში არის სარგებლოს მაღალი პროცენტული განაკვეთები.

როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში ქვეყნებში განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისგან, გამონაკლისი არც საქართველოა, ძალიან მაღალია კომერციულ ბანკებში საპროცენტო განაკვეთი, რაც ამცირებს ხელმისაწვდომობას და ართულებს ბიზნესის განვითარებას.

ცხრილი 3.3

საპროცენტო განაკვეთების ცხრილი

	სულ			ეროვნული ვალუტა			უცხოური ვალუტა		
	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
1996	61,2	60,8	68,4	57,1	57,1	57,5	64,9	64,2	74,3

1997	50,8	51,7	41,0	49,6	49,9	41,7	52,2	54,0	40,9
1998	35,2	37,3	23,0	35,8	35,9	26,9	34,9	38,3	22,6
1999	31,2	33,2	22,6	29,7	29,9	24,9	31,7	34,4	22,5
2000	27,3	29,4	21,0	24,5	25,5	18,6	28,0	30,4	21,3
2001	24,4	26,3	20,0	22,3	23,8	17,0	24,9	27,1	20,5
2002	23,0	24,9	19,5	23,6	24,9	16,0	22,9	24,9	19,7
2003	21,5	23,6	18,5	24,0	24,9	18,8	21,1	23,3	18,5
2004	20,2	23,4	17,4	25,4	26,9	20,0	19,5	22,5	17,3
2005	17,9	20,8	16,1	21,3	21,6	20,8	17,1	20,4	15,6
2006	17,3	19,4	16,3	20,3	20,4	20,1	16,3	18,5	15,6
2007	17,7	20,0	16,7	20,9	22,1	19,6	16,5	18,2	16,1
2008	18,6	21,3	17,6	21,8	22,3	21,4	17,1	20,2	16,3
2009	19,3	23,4	18,1	23,6	25,0	22,8	18,1	22,4	17,0
2010	18,6	22,4	17,3	22,6	24,9	21,0	17,2	20,5	16,4
2011	17,1	21,7	15,6	22,6	26,6	19,5	14,9	16,7	14,5
2012	16,9	21,6	15,4	22,1	26,2	19,4	14,4	16,2	14,1
2013	15,9	19,9	14,5	20,7	24,7	18,1	13,5	14,6	13,2

წყარო: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>

ყურადსაღებია, რომ 1990-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად დაიკლო საპროცენტო განაკვეთებმა ქართულ კომერციულ ბანკებში, მაგალითად: 1997 წელს

საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 49.6 %, 2010 წელს კი, 12.6%-სა და 16.5%-ს რაც საშუალოდ გამოდის 19.55%. ეს კი, საკმაოდ დიდი განსხვავებაა, თუმცა მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებელია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც პროცენტული განაკვეთი ევროსტატის მონაცემების თანახმად 2.4 %-დან 3.4 %-მდე მერყეობს.


მცირე ბაზარი, სამუშაო პერსონალის დაბალი კვალიფიციურობა და სიღატაკის მაღალი მაჩვენებელი, ეს კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების.

გამოკვლევულ 148 ქვეყანას შორის საქართველო ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანაა (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით).

- განათლების სისტემის ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით - 105-ე ადგილი;
- ადგილობრივი ბაზრის სიდიდის მიხედვით - 102-ე ადგილი;
- სესხების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 92-ე ადგილი;
- ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლის მიხედვით - 117-ე ადგილი;
- ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 83-ე ადგილი;
- კვლევების და ტრენინგების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 130-ე ადგილი.

გამომდინარე აღნიშნული სავალალო მაჩვენებლებიდან, ნათელია რატომ არ მოდის დაინტერესება საქართველოზე უცხოელი ინვესტორების მიერ. საერთაშორისო კვლევების თანახმად ბოლო დეკადის ბოლო დეკადის ზრდა ვერ გამოდგა საკმარისი სიღარიბის მაჩვენებლის დასაძლევად. აღნიშნული საკითხი ინვესტორებისთვის იმიტომაცაა ორობლემური, რომ უცხოელი ინვესტორისთვის მხოლოდ დაბალი გადასახადები არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია, კვალიფიციური სამუშაო ძალა.

სიღარიბის მაჩვენებლის ცხრილი 2007 - დან 2012 წლამდე



წყარო:

<https://www.geostat.ge/ka/search?query=%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91>

2013 წლის მონაცემებით მოსახლეობის 40 % ფიქსირდება მიზნობრივ სოციალურ დახმარების ბაზაში, ეს არის 1.7 მილიონამდე ადამიანი. ამასთანავე, საქართველოში ქვეყნის 35% ცხოვრობს დღიურ 2 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით.

2014 წელს ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 150 ლარს შეადგენდა, რაც სავალალო რიცხვია და საერთოდ არ იყო გათვალისწინებული განათლების საფასური. დღესდღეობით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები ამ სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად, სიღარიბის დასაძლევად პერიოდულად იზრდება პენსიები და საარსებო მინიმუმის რიცხვი.

სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად საქართველოს საინვესტიციო გარემოზე ძალიან ცუდად აისახება კონფლიქტური რეგიონების არსებობა „ოკუპირებული

ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებობის მიუხედავად ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დღესაც არსებობს. სწორი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, ეკონომიკური კავშირების გაბმა შესაძლებელია გახდეს ქართულ-აფხაზური დამაბული ურთიერთობის მოგვარების მშვიდობიანი გზა.

ექსპერტთა რეგიონული ჯგუფის მიერ, რომელიც შედგებოდა ქართველი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქი და რუსი ექპერტებისგან შეწვლილ იქნა ერთი პროექტი. პროექტის ფარგლებში საუბარი იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის აღდგენაზე, რომელიც რუსეთს დააკავშირებდა აფხაზეთის გავლით საქართველოსთან, შემდეგ სომხეთთან და ბოლო ირანთან. ეს პროექტი იმით იყო საინტერესო, რომ საინვესტიციო კაპიტალის ფარგლებში მისი ღირებულება შეადგენდა 250 მილიონიდან 400 მილიონამდე.

ნახსენები რკინიგზის ხაზის საშუალებით, შესაძლებელი გახდებოდა საქართველოდან ყველაზე იაფი და სწრაფი გადაადგილება და ტვირთების გადატანა, თუმცა ქართველი ექსპერტის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ აპროექტის გამოქმედება პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების მოგვარება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის, საკუთრების უფლების დაცვა წარმოადგენს. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ბიზნესმენისთვის უცხო ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა.

საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის 2013 წლის განცხადებით „იმ სავალალო მდგომარეობის გამო რომელიც საკუთრების უფლების დარღვევის მიმართულებით გვექონდა წინა ხელისუფლებამ 32 ქვეყანასთან შეაჩერა ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ეს ქვეყნები დღეს მოლაპარაკების განახლებას

ელოდებიან“ შესაბამისად იმდროიდან საჭირო გახდა ხელისუფლების მხრიდან მეტი აქტიურობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის.

იუსტიციის სამინისტროს გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად ინვესტიციების წახალისების და დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებები, რეის ინფორმაციის, საქართველოს 21 ქვეყანასთან აქვს დადებული.

„დუინგ ბიზნეს 2013“ - მსოფლიო ბანკის ყოველწლიური რეიტინგის იმხედვით, 2013 წლამდე პერიოდში ინვესტორთა დაცულობის ჭრილში საქართველო 43-ე ადგილზე იყო. ამავე რეიტინგის სხვა კომპონენტში, რომელიც გაკოტრების პროცედურებს გულისხმობს - საქართველო 122-ე ადგილზეა.

მდგომარეობა არც „ჰიპერტიჯის ფონდის“ „ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგშია უკეთესი. ამ კვლევის თანახმად საკუტრების უფლების დაცულობის მხრივ საქართველო 200 გამოკვლეული ქვეყნიდან 70-ე ადგილზეა.

საბოლოოდ კი, „დუინგ ბიზნესის“ და „ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში საქართველო საზოგადოდ 15-ე და 22-ე ადგილებს იკავებს, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ შორსაა ინვესტორთა ფართომასშტაბიანი დაინტერესებისგან.

დასკვნა

- საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, უმნიშველოვანესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, მისი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.
- საქართველოს საინვესტიციო კლიმატი განსაკუთრებით დაწინაურდა 2004 წლიდან გატარებული საინვესტიციორეფორმების შედეგ. რასაც საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევებიც ადასტურებს.
- საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად. I პერიოდი - 1995-1996 წლებიდან 2002 წლამდე, II პერიოდი 2003 წლიდან 2011 წლამდე და III პერიოდი 2012 წლიდან - დღემდე.
- საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპირატესობას წარმოადგენს: გადასახადების მცირე ოდენობა; მარტივი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტური და არაკორუმპირებული ხელისუფლება; მორგებული შრომითი კანონმდებლობა; ქვეყნის გეორგაფიული მდგომარეობა; კრიმინალის დაბალი დონე დასხვა.
- ამ ყველაფრის გათვალისწინებით აღსანიშნავია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური გადადენის გზით.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას წინ შემაფერხებელი ფაქტორები უდგას. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია საფონდო ბირჟის განუვითარებლობა, შემდეგი
- ბიზნესის კუთების სიმარტივით საქართველო მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით იკავებს ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას. აღნიშნული მოხსენების მიხედვით, საქართველო იმ 12 ქვეყნის ეკონომიკების სიაშია სადაც არ არსებობს სოციალური და შრომასთან დაკავშირებული სხვაგვარი გადასახადები. აღნიშნული კვლევის მიხედვით, საქართველო იმ მცირე რიცხოვანი ქვეყნების წევრია, რომლებმაც დანერგეს გამარტივებული

საგადასახადო დეკლარირების სისტემები -იგივე ელექტრონული დეკლარირების სისტემა.

- 2013 წელს მინიჭებული ქულით საქართველო ქვეყანათა საერთო რეიტინგში მეცხრე ადგილს იკავებს.გამოკვლევულ 148 ქვეყანას შორის საქართველო ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანაა (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით).
 - განათლების სისტემის ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით - 105-ე ადგილი;
 - ადგილობრივი ბაზრის სიდიდის მიხედვით - 102-ე ადგილი;
 - სესხების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 92-ე ადგილი;
 - ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლის მიხედვით - 117-ე ადგილი;
 - ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 83-ე ადგილი;
 - კვლევების და ტრენინგების ხელმისაწვდომობის მიხედვით - 130-ე ადგილი.

გამომდინარე აღნიშნული სავალალო მაჩვენებლებიდან, ნათელია რატომ არ მოდის დაინტერესება საქართველოზე უცხოელი ინვესტორების მიერ. საერთაშორისო კვლევების თანახმად ბოლო დეკადის ბოლო დეკადის ზრდა ვერ გამოდგა საკმარისი სიღარიბის მაჩვენებლის დასაძლევად.

- საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებული საერთო სიძნელეების დაძლევასთან. ამ ეტაპზე,როცა საქართველოში აუცილებელია სასესხო კაპიტალის იმპორტი - ამას ქვეყნის საბანკო სისტემის ძალიან დაბალი დონე უშლის ხელს.
- საბოლოოდ კი, „დუინგ ბიზნესისა“ და „ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში საქართველო საზოგადოდ 15-ე და 22-ე ადგილებს იკავებს, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ შორსაა ინვესტორთა ფართომასშტაბიანი დაინტერესებისგან.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. გერაძე რ. , პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოსთვის, ჟურნალი „Forbes Georgia”, თბილისი 2015 წ.
2. გერაძე რ. , პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი შედეგები, ჟურნალი “Forbes Georgia” თბილისი 2016 წ.
3. ლომიძე მ. სამრეწველო პროექტების მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები: დაგეგმვა, პროექტირება და მშენებლობა, თბილისი 2014 წ.
4. მელქაძე ქ. , პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - არის თუ არა საქართველო ინვესტორებისთვის მიზიდველი ქვეყანა ? <http://eugeorgia.info/ka/article/524/pirdapiri-uxouri-investiciebi---aris-tu-ara-saqartvelo-investorebistvis-mimzidveli-qveyana/>
5. სიხარულიძე დ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება „სოციალური ეკონომიკა“.
6. ქურდაძე შ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, თბილისი 2018 წ.
7. შათირიშვილი ჯ. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის აქტუალური საკითხები, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ თბილისი 1999 წ.
8. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობდა და გარანტიები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=14>.
9. Polajeva Tatiana, THE ROLE OF FOREIGN DIRECT INVESTMENT: CASE STUDY GEORGIA, Tallin 2015.
10. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>
11. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/216/aprili>
12. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/542/2011-tseli>
13. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>
14. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-1-utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.1>=1>
15. <https://forbes.ge/news/5316/me-6-adgili-biznesis-keTebis-reitingSi>
16. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.-4---4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-1-utfZz-8-00-0-11-1-utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH014a344347d12d1526bbe3a0.5>=1>
17. https://forbes.ge/news/search/?author_name=%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94
18. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/6>